N 10347
10/09/2015

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: ა) სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ და გ) რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მოგეხსენებათ, 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-მ (შემდგომში ენმ) და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქვეყანაში გამოავლინეს საჯარო მოხელეების მიერ ქრთამის აღების, ნეპოტიზმისა და სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივი და პირადი ინტერესებისათვის გამოყენების არაერთი ფაქტი. არსებული კორუფციული სქემების მასშტაბურობა, მასში ჩართული სახელმწიფო ორგანოების რაოდენობა და როგორც ცენტრალური ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობა ადასტურებს, რომ კორუფციულმა დანაშაულმა სისტემური ხასიათი მიიღო.

როგორც იკვეთება, კორუფციულ ურთიერთობებს ადგილი აქვს მმართველობის თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის: სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, აგრეთვე თანაინვესტირების ფონდის საქმიანობაში და „აწარმოე საქართველო“-ში პროგრამის მიმართულებით. ყველა ამ სქემას რამოდენიმე ნიშანი აერთიანებს: 1. ხდება კონკრეტული სფეროს მონოპილიზირება, ძირითადად მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩარევით და გადაწყვეტილებით; 2. მონოპოლიზირებული სფერო სამართავად გადაეცემა კომპანიას, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ან მათ უახლოეს გარემოცვაში მყოფი პირის საკუთრებაში ან მმართველობაშია; 3. ძირითადად ერთ პირთან მოლაპარაკების ან გამარტივებული ტენდერის წესით შერჩეული ამგვარი კომპანიების მეშვეობით ხდება საბიუჯეტო თანხებისა და/ან სახელმწიფო ქონების გადადინება კერძო პირების ჯიბეებსა და მათ მფლობელობაში.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტში აღნიშნული ფაქტები ფართოდ იყო გაშუქებული ელექტრონული მედიით. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები ვადლებული არიან სამართლებრივი რეაგირება მოახდინონ საჯარო სივრცეში გავრცელებულ სავარაუდო დანაშაულის შემთხვევაზე. მიუხედავად ამისა, არცერთ ამ ინფორმაციაზე გამოძიება არ დაწყებულა. სამართალდამცავი უწყებების ეს მიდგომა ადასტურებს, რომ ხელისუფლებას არ აქვს ნება ეფექტურად ებრძოლოს ფართოდ გავრცელებულ კორუფციულ პრაქტიკას

საქართველოში; პირიქით, ახალისებს მსგავსი ტიპის დანაშაულებებს. შედეგად, აშკარაა, რომ კორუფციამ სისტემური ხასიათი მიიღო.

ვინაიდან, დასახელებულ სახელმწიფო ორგანოებში გამოვლენილი თანამდებობის პირების მიერ კორუფციული სამართალდარღვევების ფაქტები წარმოადგენს სისტემურ ხასიათს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს და ხდება სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამართალდარღვევებზე ფართოდ იყო საუბარი როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაში, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ ხდება შესაბამისი რეაგირება, ვინაიდან სისტემური კორუფციის მიზეზების შესწავლა, სრულად გამოაშკარავება და აღმოფხვრა სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“, და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ მოითხოვს პარლამენტის რეგლამენტის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც შეისწავლის ზემოთმოყვანილ ფაქტებს.

ამასთან, დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 15 წევრით.

პატივისცემით,

ტარიელი ლონდარიძე

პარლამენტის წევრი

აკაკი ბობოხიძე

პარლამენტის წევრი

გიორგი გაბაშვილი

პარლამენტის წევრი